ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 3553854

გაცემის თარიღი: 20/09/2017 გაცნობის თარიღი: 20/09/2017

განცხადების ნომერი: AR1515283

შემოსვლის თარიღი: 19/06/2017

შედეგი: თანხმობა

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.160
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ნინუას ქუჩა N3
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 5312.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ჯეო-ემ-ტექს" (405111882)

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- მისამართი: ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

წერილი

თქვენი AR1515283 (19.06.2017წ.) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნინუას ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:#01.12.12.001.160) მრავალფუნქციური კომპექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების საკითხი თანდართული უფლებრივი ზონირების ნაწილით განსახილველად გადაგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2017 წლის 15 სექტემბრის N339 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნინუას ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:#01.12.12.001.160) მრავალფუნქციური კომპექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების თაობაზე. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნულ 2017 წლის 15 სექტემბრის N339 განკარგულებას და უფლებრივი ზონირების ნაწილს.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჭიროა დააყენოთ გენგეგმაში ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხი http://tas.ge/–ზე შესაბამისი განცხადებით და, სხვა წარმოსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად, თან დაურთოთ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების GIS .shp ფაილი;

დანართი: - განკარგულება 2017 წლის 15 სექტემბრის N339, უფლებრივი ზონირების ნაწილი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 3682944

გაცემის თარიღი: 15/11/2017 გაცნობის თარიღი: 15/11/2017

განცხადების ნომერი: AR1546046

შემოსვლის თარიღი: 03/10/2017

შედეგი: თანხმობა

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.12.12.001.160
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ნინუას ქუჩა N3
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 5312.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ჯეო-ემ-ტექს" (405111882)

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- მისამართი: ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

წერილი

AR1546046 განცხადების პასუხად დამატებით გაცნობებთ, რომ საკითხი, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ნინუას ქუჩა N3-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.160) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ცვლილებასთან დაკავშირებით, განსახილველად წარდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე და 2017 წლის 7 ნოემბრის N20–69 დადგენილების საფუძველზე ‘‘დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შეახებ’’ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებაში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება. დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და 2017 წლის 7 ნოემბრის N20–69 დადგენილების ასლს ფუნქციური ზონის ჩვენებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

PDF ფორმატში ჩამოტვირთვა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01173562730**

თარიღი: **22.12.2017**

ადრესატი:
შპს ჯეო-ემ-ტექს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405111882
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ნინუას ქ., N3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2017 წლის 7 ნოემბრის #19/011731157-18 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის 2017 წლის 27 ოქტომბრის #02-22/423 საექსპერტო დასკვნა, ექსპერტები ჯუმბერ ლომიძე, სვეტლანა ხმალაძე) რომლითაც ითხოვთ შპს „ჯეო ემ ტექს"-ის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნინუას ქ. #3 ს/კ: 01.12.12.001.160) მშენებლობის განხორციელების მიზნით ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს 1 ძირი #12 ხმობადი ცრუაკაციის და 2 ძირი #8; #17 ხმელ ძირკვზე ამონაყარი თუთის ხის მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნული წესის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი იქნება საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული უნდა იქნას შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამწლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ გევალებათ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 3 (სამი) ძირი 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ნერგის დარგვა. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგების დარგვას, ასევე მათ შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნინუას ქ. #3 ს/კ: 01.12.12.001.160) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა იქნას წარმოადგენილი დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

რაც შეეხება ხე-მცენარეების გადარგვის საკითხს გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით სამსახური გასცემს 3 ძირი ცრუაკაციის (#16, #18, #19) და 1 ძირი თუთის (#20) გადარგვის ნებართვას თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნინუას ქ. #3 ს/კ: 01.12.12.001.160) მშენებლობის ნებართვის/ წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ წარმოდგენილი უნდა იქნას გადარგული

ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 1 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

რაც შეეხება 7 ძირი მარადმწვანე კვიპაროსის (#1, #2, #3, #4, #5, #6, #7), 1 ძირი ჩვეულებრივი იფანის (#9), 1 ძირი დიადი ბოყვის (#10) და 1 ძირი ხემყრალას (#11) მოჭრის საკითხს გაცნობებთ, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოჭრის ნაცვლად განხილულ იქნას ხე-მცენარეების გადარგვის ალტერნატივა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, წარმოადგინოთ უფლებამოსილი პირის მიერ გადარგვის შესაძლებლობაზე გაცემული დასკვნა და გადარგვის პროექტი (გადასარგავი ტერიტორიის მითითებით).

ასევე გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი მცენარეების (ლეღვი, ჭერამი, ვაზი) მოჭრა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. თუ ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე, ხილ-კენკროვანის გარდა მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, თქვენს მიმართ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიგა გიგაშვილი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 82 09

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 10/01180292-18
თარიღი: 29.01.2018 09:01
ვადა: 28.02.2018

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

შპს ჯეო-ემ-ტექს საიდენტიფიკაციო კოდი : 405111882
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ნინუას ქ., N3
განცხადების N: 47 განცხადების თარიღი: 26.01.2018
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადების შემომტანი

ფელდეგერი: ეკა ედიშერაშვილი პირადი ნომერი: 01001040982

განცხადება/ნომენკლატურა

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა
სამშენებლო მოედანზე

მოთხოვნის ტექსტი

ხის გადარგვის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 5
- დანართი: -
- პასუხის გაგზავნა ფოსტით: კი

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 10/01180292-18
29.01.2018 : 09:01
ქ. თბილისი, გ.შარტავას ქ. N7

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17013967, 03/02/2017 11:28:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ჯეო-ემ-ტექს
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405111882
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	03/08/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ნინუას ქ., N3

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: r.sagharadze@geomtex.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01024047910, რამაზ საღარაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01024047910, რამაზ საღარაძე	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R16054646 16/12/2016 18:35:13**

  კრედიტორი : სს ხალიკ ბანკი საქართველო (საქართველო) 205236537

  მესაკუთრე : შპს ჯეო-ემ-ტექს (საქართველო) 405111882

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება(იხილეთ გირავნობის ხელშეკრულების)**

  საფუძველი: **მოძრავი ქონების დაგირავების შესახებ ხელშეკრულება, 000000.338-გ, ნოტარიუსი ლია კობახიძე, 161430747, 16.12.2016**

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ნასყიდობის ხელშეკრულება

08 სექტემბერი, 2015 წ.

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდეგში, „გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის სოფიკო მეშველიშვილის (პირადი №01023007152) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 07 აპრილს გაცემული №4/19722 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს „ჯეო-ემ-ტექს"** (ს/კ 405111882) (შემდეგში, „მყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ბაგრატიონის (პირადი №01009016356) სახით, შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ჯეო-ემ-ტექსისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 აგვისტოს №1787 განკარგულების (შემდეგში, „განკარგულება") საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება")

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" საკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქალაქ თბილისში, ნიწუას ქუჩა №3-ში მდებარე 5312.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს: №1 (მ/შ, I სართული - 1363.73 კვ.მ., II სართული - 1373.66 კვ.მ), №2 - საერთო ფართით 108.05 კვ.მ, №3 (მ/შ, I სართული - 66.87კვ.მ, II სართული - 65.21 კვ.მ), №4 - საერთო ფართით 530.79 კვ.მ, №5 (მ/შ, I სართული - 130.08 კვ.მ, ტერასა - ფართით 140.4 კვ.მ), №6 - საერთო ფართით 8.08 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო

№01.12.12.001.160) (შემდეგში, „ქონება“) „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 2. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

2.1. „მყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს საპრივატიზებო თანხა 1 (ერთი) ლარის ოდენობით, „განკარგულების“ გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.2. საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

2.3. საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი „გამყიდველის“ ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

2.4. „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდისას უნდა მიუთითოს „ხელშეკრულების“ დანართით გათვალისწინებული რეკვიზიტები იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.

2.5. „ხელშეკრულების“ 2.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს „მყიდველს“.

მუხლი 3. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

3.1. „მყიდველი“ ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს „ქონებაზე“ საფეიქრო, ტექსტილის მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება „განკარგულების“ გამოცემიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში.

3.1.2. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს არანაკლებ 4 872 516 (ოთხი მილიონ რვაას სამოცდათორმეტი ათას ხუთას თექვსმეტი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) ინვესტიციის არანაკლებ 25%-ისა - „განკარგულების“ გამოცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - „განკარგულების“ გამოცემიდან მეორე წლის განმავლობაში;

3.1.3. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით განსაზღვრული წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება და „განკარგულების“ გამოცემამდე შეთავაზებული პროდუქციის წლიური მოცულობის (პალტოები, ლაბადები და ანალოგიური ნაწარმი მამაკაცის ან ბიჭის ან/და ქალისა ან გოგონასათვის არანაკლებ 120 000 (ას ოცი ათასი) ერთეული ჯამურად) წარმოების უზრუნველყოფა შემდეგი პირობებით:

ა) წარმოების დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში - წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის არანაკლებ 25%-ის წარმოება;

ბ) წარმოების დაწყებიდან მეორე წლის განმავლობაში - წარმოების შეთავაზებული წლიური მოცულობის 50%-ის წარმოება.

3.1.4. დაფაროს „ქონებაზე“ საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში, „რეესტრი“) რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი;

3.1.5 „ხელშეკრულების“ 3.1.2. მუხლით გათვალისწინებული ინვესტიციის განხორციელების გრაფიკის თითოეული ეტაპის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5

ოქტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ და რომელიც ასახავს „ხელშეკრულების“ 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

3.1.6 „ხელშეკრულების“ 3.1.3. მუხლით გათვალისწინებული წარმოების თითოეული წლის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ და რომელიც ასახავს „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

3.1.7. „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს“ წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

3.2. „გამყიდველი“ ვალდებულია, „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „რეესტრში“ შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

მუხლი 4. „ხელშეკრულების“ განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს“ „ქონებაზე“ საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების“ გაფორმების და საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, „ქონებაზე“ საკუთრების უფლება „მყიდველს“ გადაეცემა „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. „მყიდველს“ „ქონება“ მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან.

ქონებაზე“ საკუთრების უფლებასთან ერთად „რეესტრში“ რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის, საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

4.4. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

4.5 „ხელშეკრულების“ 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.5 მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, ხოლო „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისათვის“ „ხელშეკრულების“ 3.1.6 მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

4.6. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია „ქონება“ ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით“. „ქონების“ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.7. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან“ ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის. „ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.

4.8. „მხარე“ უფლებამოსილია, „სააგენტოს“ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთოს „ქონება“. ამასთან, „ქონების“ იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას

[illegible]დავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მყიდველის" უფლებები და ვალდებულებები.

მუხლი 5. საბანკო გარანტია

5.1. მყიდველის მიერ წარმოდგენილი სს „ხალიკ ბანკი საქართველო"-ს მიერ 2015 წლის 12 აგვისტოს გაცემული №0000120815-BG საბანკო გარანტია (შემდეგში - „საბანკო გარანტია") უზრუნველყოფს ხელშეკრულების 2.1, 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და/ან ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

5.2. მყიდველი ვალდებულია „საბანკო გარანტიის" თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში, 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

5.3. „მყიდველის" მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის" მხრიდან, „ხელშეკრულების" 6.11. და/ან 6.12. მუხლების შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, „საბანკო გარანტიის" თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 6. „მხარეთა" პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების" შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი.

6.2. „ხელშეკრულების" 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3. „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

„ხელშეკრულების“ 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.6. „ხელშეკრულების“ 3.1.5. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.7. „ხელშეკრულების“ 3.1.6. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.8 „ხელშეკრულების“ 3.1.7 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

6.9. „ხელშეკრულების“ 5.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.10. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

6.11. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში

პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“.

6.12. „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება“ უბრუნდება „გამყიდველს“. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

6.13. „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით.

7.2. „მხარე“, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს“ ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე“ კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ

შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს“ შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

8.2. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის, „მხარეთა“ რეკვიზიტებია:

8.2.1. **„გამყიდველის“ შემთხვევაში:**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №12, ქ. თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

8.2.2. **„მყიდველის“ შემთხვევაში:**

შპს „ჯეო-ემ-ტექს“

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №29, ბ.7

ტელ: +995 577 97 97 97

ელ. ფოსტა: lasha@geomtex.ge

8.3. „მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის" მიერ „მყიდველის“ ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

8.4. ,,ხელშეკრულების“ 8.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება ,,გამყიდველის“ მიერ ,,მყიდველის“ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება ,,მყიდველისათვის“ ჩაბარებულად მისი ,,გამყიდველისათვის“ ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

9.1. „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. „მხარეთა“ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა დებულებები

10.1. „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობით, „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის გზით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის“.

10.2. „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

10.3. „ხელშეკრულების“ ცალკეული პუნქტების გაუქმება და/ან ბათილობა არ იწვევს „ხელშეკრულების“ სხვა პუნქტების გაუქმებას და/ან ბათილობას.

10.4. სათაურები „ხელშეკრულებაში“ მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

10.5. „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და „რეესტრს“.

10.6. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„გამყიდველი“
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი:
სოფიკო მეშველიშვილი

სოფიკო მეშველიშვილი

„მყიდველი“
შპს „ჯეო-ემ-ტექს“

წარმომადგენელი:
ლაშა ბაგრატიონი

დანართი:

„მყიდველის“ მიერ ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი

3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
25.06.2018	25.06.2018

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს ჯეო ემ ტექს 405111882
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1605778
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1605778

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის (საკადასტრო კოდი:01.00.185) გამოყენებაზე, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ: #01.12.12.001.160) სამშენებლო პროექტის შესათანხმებლად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება